ხელშეკრულება №139
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 17 / დეკემბერი / 2018 წელი

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა შამილშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ მერაბ ანანიძე (ს/კ: 61002003061) შემდგომში „მიმწოდებელი“, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ავტომანქანისთვის - Volkswagen Jetta (გამოშვების წელი - 2007), სახელმწიფო ნომრით RHR-121, აქსესუარების მიწოდება-მონტაჟი (CPV – 34300000 (შემდგომში „საქონელი“):

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **650** (ექვსას ორმოცდაათი) ლარს.

N	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	ჭერის საფარის (ე.წ. აბივკა) და განათების მიწოდება-მონტაჟი	ერთეული	1	250	300
2	კარის საფარის მიწოდება-მონტაჟი (ე.წ. აბივკა)	ცალი	4	50	220
3	მარჯვენა ღვედის მიწოდება-მონტაჟი	ცალი	1	80	100
4	ბამპერის მარჯვენა ნაწილის სამაგრის (ე.წ. სალასკა) მიწოდება-მონტაჟი	ცალი	1	30	30
ჯამი					650

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება:

ა) ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

ბ) მიმწოდებლის სერვისცენტრში: ქ. ბათუმი - აეროპორტის გზატკეცილი ქN143;

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

ბ) საქონლის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მიწოდებულ საქონელთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ბ) უზრუნველყოს საქონლის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც დადგენილია ხელშეკრულებით.

გ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ნებისმიერი თანმდევი მომსახურების ჩათვლით.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი - ჯაბა ცხადაძე;

9.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

10. სტანდარტები

10.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებაში მითითებულ სტანდარტებს.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1,5%-ის ოდენობით.

11.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებულია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 12.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვადებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია: 2018 წლის 17 დეკემბრიდან- 2018 წლის 31 იანვრამდე;

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N25

საიდენტიფიკაცო კოდი: 445393510

სახელმწიფო ხაზინა

TRESGE22

ა/ნ 740737005

მიმწოდებლი:

ი/მ მერაბ ანანაიძე

მის : ქ. ბათუმი, აეროპორტის
გზატკეცილი ქ N143

საიდენტიფიკაცო კოდი: 61002003061

სს ,,ლიბერთი ბანკი''

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ნ: GE56LB 0112 1174 2515 5000

მამუკა შამილიშვილი

მერაბ ანანიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ ავტომანქანისთვის - Volkswagen Jetta (გამოშვების წელი - 2007), სახელმწიფო ნომრით RHR-121 აქსესუარების შესყიდვის მიზნით ი/მ მერაბ ანანიძესთან 2018 წლის 17 დეკემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N139 ხელშეკრულების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის პროცედურებში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი ---------- ჯაბა ცხადაძე